საექსპერტო შეფასება

ანგარიშზე „ქ.თბილისში, ბელიაშვილის ქ. №22-ში, მრავალფუნქციური შენობის პროექტი. საინჟინრო გეოლოგიური კვლევების ტექნიკური ანგარიში“.

შ.პ.ს. „ტრიდე“-ს ხელმძღვანელობის თხოვნით ჩვენს მიერ 2017 წლის 31ივლისს შემოწმებული იქნაქ. თბილისში, ბელიაშვილის ქ. №22-ში, მრავალფუნქციური შენობის მშენებლობისათვის გამოყოფილ უბანზე ჩატარებულისაინჟინრო გეოლოგიური სამუშაოების ტექნიკური დოკუმენტაცია.

შემოწმების მიზანი: დადგინდეს ქ.თბილისში, ბელიაშვილის ქ. №22-ში, მრავალფუნქციური შენობის მშენებლობისათვის გამოყოფილ უბანზე ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოების და მის საფუძველზე შედგენილი ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისობა საქართველოში მოქმედ სამშენებლო ნორმებთან, წესებთან და სახელმწიფო სტანდარტებთან.

საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოები შესრულებულიაშ.პ.ს. „თბილინვესტპროექტი“-ს გეოლოგიური ჯგუფის მიერ 2017 წლის ივლისში.სამუშაოების უშუალო ხელმძღვანელი, ინჟინერ-გეოლოგი ი. ცხომელიძე.მათ გეოტექნიკურ ლაბორატორიაშია შესრულებული გრუნტების თვისებების გამოკვლევები.

საექსპერტოდ წარმოდგენილია:

1. ანგარიშის ტექსტური ნაწილი აკრეფილი კომპიუტერზე----------9გვ.
2. ტექნიკური დავალება----------1გვ.
3. კომპრესიისა და ჭრის გრაფიკები---------- 5 გვ.
4. ცხრილი გრუნტების თვისებებზე ---------- 1გვ.
5. ცხრილი გრუნტის წყლის ქიმიურ შედგენილობაზე---------- 3გვ.
6. მოედნის ტოპოგეგმა----------1ფურც.
7. სამთო გამონამუშევრებისლითოლოგიური სვეტები----------6ფურც.
8. მოედნის გეოლოგიური ჭრილი ----------2ფურც.

პროექტით საკვლევ მოედანზე უნდა აშენდეს 22 სართულიანი საცხოვრებელი სახლი, სარდაფით. შენობის ზომებია გეგმაში (62.0x19.0) მ. კონსტრუქციულად შენობა გადაწყვეტილია რკინაბეტონის კარკასში, შევსება იქნება აგურით ან ბეტონის წვრილი ბლოკებით. რაც შეეხება საძირკველს, მისი კონსტრუქცია და ჩაღრმავება გადაწყდება მოედნის საინჟინრო გეოლოგიური პირობების გამოკვლევის შემდეგ.

მოედნის საინჟინრო გეოლოგიური პირობების დასადგენად, საკვლევ მოედანზე ავტომანქანაზე დამონტაჟებული საბურღი დაზგით გაყვანილი იქნა 6 ჭაბურღილი, მათი საერთო სიგრძე შეადგენს 54 მეტრს. ჭაბურღილებიდან აღებული იქნა ნიმუშები მათი თვისებების დასახასიათებლად .აღებული იქნა აგრეთვე გრუნტის წყლის სინჯები მათი ქიმიზმის დასადგენად.

ჩატარებული საველე და ლაბორატორიული სამუშაოების ანალიზის საფუძველზე, საკვლევ მოედანზე გეოლოგიურ ჭრილში გამოყოფილი იქნა გრუნტის შემდეგი ფენები:

1. ფენა 1 – ნაყარიგრუნტი;
2. ფენა 2 – თიხა ჯირჯვადი, ნახევრადმყარი;
3. ფენა 3 – ხრეში, თიხნარის შემავსებლით, 30%-მდე;
4. ფენა 4 – თიხა ფიქლებრი, შრეებრივი, ნახევრადმყარი;
5. ფენა 5 – ქვიშაქვებისა და არგილითების თხელშრეებრივი მორიგეობა, დაბალი სიმტკიცის.

ანგარიშშიმოცემულია საკვლევი ტერიტორიის გეომორფოლოგიური, გეოლოგიური და კლიმატური პირობები. მოცემულია ზემოაღნიშნული ქანების (გარდა ნაყარი გრუნტისა) საინჟინრო გეოლოგიური დახასიათება. მოცემულია მათი ნორმატიული და საანგარიშო მაჩვენებლები. თიხური გრუნტების სიმტკიცის მაჩვენებლები განსაზღვრულია მათ გეოტექნიკურ ლაბორატორიაში და დამუშავებულია სტატისტიკური მეთოდით. რაც შეეხება კლდოვან ქანებს, მათი თვისებები განსაზღვრულია აკადემიკოს გ. წულუკიძის სახელობის სამთო საქმის ინსტიტუტში. ჩატარებული საველე და ლაბორატორიული სამუშაოების ანალიზის საფუძველზე ავტორი იძლევა წინადადებას მომავალი შენობის ფუძე-გრუნტების შერჩევის თაობაზე.

მოედნის ჰიდროგეოლოგიური პირობებიდან აღნიშნულია, რომ გრუნტის წყალი გახსნილი იქნა მიწის ზედაპირიდან 8.2-8.5 მ. სიღრმეზე, ძირითად ქანებში. როგორც წყლის სინჯების ქიმიურმა ანალიზმა აჩვენა, წყალი აგრესიულია ბეტონის ნაკეთობების მიმართ.

დ ა ს კ ვ ნ ა

ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოები ქ. თბილისში, ბელიაშვილის ქ. №22-ში, მრავალფუნქციური შენობის მშენებლობისათვის გამოყოფილ უბანზე, აკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, რომლებიც მოცემულია საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებით. ცალკეული შენიშვნები ჩვენს მიერ გამოთქმული სამუშაოების მიმართ, ავტორის მიერ მიღებული იქნა და ანგარიშში შეტანილია სათანადო კორექტივები. დასასრულს ავღნიშნავთ, რომ წარმოდგენილი ანგარიში იმსახურებს დადებით შეფასებას და შეიძლება დაედოს საფუძვლად მშენებლობის პროექტს საინჟინრო გეოლოგიურ ნაწილში.

საქართველოს დამსახურებული მშენებელი,
ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი /გ. ჭოხონელიძე/